

# ლექცია 6

დინამიკა

ნიუტონის კანონები

# გექანიკა

კინემატიკა



როგორ მოძრაობები  
სხვალები

დინამიკა



რატომ მოძრაობები  
სხვალები





## დინამიკა

- Isaac Newton (1643 - 1727)

Principia Mathematica (1687). სამი მოძრაობის კანონი:

კანონი 1:

სხეული უძრავია ან მოძრაობს მუდმივი  
სიჩქარით ათვლის ინერციულ სისტემაში თუ  
მასზე გარეშე ძალა არ მოქმედებს.

კანონი 2:


$$\mathbf{F}_{\text{ჯამ}} = \sum \mathbf{F} = m\mathbf{a}$$

კანონი 3:

$$\mathbf{F}_{A,B} = -\mathbf{F}_{B,A}$$

- რა არის ძალა ?

- ძალა არის სხეულებს შორის ურთიერთქმედების დამახასიათებელი სიდიდე.
- ძალა ვექტორია, რადგან აქვს როგორც სიდიდე ისე მიმართულება.
- შესაბამისად ძალების შეკრება ემორჩილება ვექტორების შეკრების კანონებს.




## ძალა

- განვიხილავთ ორი სახის ძალას:
  - კონტაქტური ძალა:
    - » ყველაზე ნაცნობია ჩვენთვის:
      - სტუდენტი აწვება მერხს.
      - ბურთის დარტყმა...
  - ურთიერქმედება მანძილზე:
    - » გრავიტაცია
    - » ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედება


## კონტაქტური ძალა:

- ჩნდება როცა სხეულები მოდიან კონტაქტში.
- აღნიშვნა :  $F_{a,b}$  ნიშნავს ძალას რომელიც მოქმედებს  $a$ -ზე და გამოწვეულია  $b$  -თი




# ურთიერთქმედება მანძილზე

- გრავიტაცია:



- ნიუტონმა შენიშნა, რომ  $a_{moon} / g = 0.000278$   
და  $R_E^2 / R^2 = 0.000273$



- მსოფლიო მიზიდულობის კანონი:

$$|F_{Mm}| = GMm / R^2$$

$$G = 6.67 \times 10^{-11} \text{ m}^3 \text{ kg}^{-1} \text{ s}^{-2}$$

## ოთხი ფუნდამენტური ძალა (ურთიერთქმედება) ბუნებაში

1. ელექტრომაგნიტური
2. სუსტი (ელემენტარული ნაწილაკების  
დაშლა)
3. ძლიერი (ბირთვებში)
4. გრავიტაცია

ნიუტონის პირველი კანონი

ინერციის კანონი

# არისტოტელის მოძრაობის შესახებ




არისტოტელის ფიქრობდა, რომ  
უძრაობა არის სხეულების  
ბუნებრივი მდგომარეობა.

გალილეო გალილეიმ ეჭვებეშ დააყენა  
არისტოტელეს იდეები მოძრაობის შესახებ.

უძრაობა არ არის სხეულების ბუნებრივი  
მდგომარეობა.

მან შემოიტანა ინერციის ცნება.

გალილეო ატარებდა ექსპერიმენტებს და  
სწავლობდა სხეულების მოძრაობას დახრილ  
სიბრტყეზე.



## ნიუტონის პირველი კანონი

სხეული უძრავია ან მოძრაობს თანაბარი სიჩქარით  
ათვლის ინერციულ სისტემაში თუ მასზე მოქმედი  
ძალების ჯამი ნულის ტოლია.

► აჩქარება არ არსებობს თუ არ მოქმედებს ძალა.

ნიუტონის პირველი კანონი მართებულია მხოლოდ  
ინერციულ ათვლის სისტემაში !

მაგალითი: მანქანა და წიგნი.

# ინერცია

ინერცია არის სხეულის  
თვისება წინააღმდეგობა  
გაუწიოს მისი სიჩქარის  
ცვლილებას.


სხეულის ინერციულობას  
განსაზღვრავს მისი მასა.  
რაც უფრო დიდია  
სხეულის მასა მით უფრო  
ძნელია მისი სიჩქარის  
ცვლილება.



ეს სხეულები არ დაიძვრებიან  
ადგილიდან სანამ მათზე არ  
იმოქმედებს ძალა.

უძრაობა არის თანაბარი მოძრაობის კერძო შემთხვევა  
როცა სიჩქარე  $V=0$

# რომელი მატარებლის გაჩერებაა უფრო ძნელი?



მძლავრი ლოკომოტივი დაძრავს  
ადგილიდან ვაგონებს. რადგან ვაგონები  
ძალიან დიდი მასის მქონეა, მათ აქვთ  
დიდი ინერცია და საჭიროა დიდი ძალა,  
რომ შეიცვალოს მათი სიჩქარე. ხოლო  
თუ ერთხელ აკრიფავენ სიჩქარეს, ასევე  
დიდი ძალაა საჭირო მათ გასაჩერებლად.


■ თუ გოლფის  
ბურთს  
დავარტყამთ  
ჯოხს და  
მოვიყვანთ  
მოძრაობაში, იგი  
არასოდეს არ  
უნდა გაჩერდეს  
თუ მასზე სხვა  
ძალებმა არ  
იმოქმედა.



ეს ეწინააღმდეგება ჩვენს ყოველდღიურ  
გამოცდილებას. რადგან ყველა  
სხეულის მოძრაობა ნელდება და  
საბოლოოდ უძრავი ხდება.

სინამდვილეში ეს ხდება იმის გამო,  
რომ სხეულებზე მოქმედებს თვალით  
უხილავი, მაგრამ რეალური ძალა,  
რომელსაც ხახუნის ძალა ეწოდება.  
ამ ძალას ჩვენ მომდევნო ლექციებზე  
განვიხილავთ.

# ნიუტონის პირველი კანონი და ინერცია




თუ მანქანა მოძრაობს 80 კმ/სთ სიჩქარით და შეეჯახება ბარიერს, მანქანაში მყოფი ადამიანი ინერციის გამო გააგრძელებს მოძრაობას 80 კმ/სთ სიჩქარით.

ეცადეთ არ აღმოჩნდეთ ამ მდგომარეობაში.  
შეიკარით უსაფრთხოების ღვედები.

## ნიუტონის მეორე კანონი

ნიუტონის პირველი კანონის თანახმად აჩქარება არ არსებობს ძალის გარეშე. უნდა დავადგინოთ როგორია რაოდენობრივი კავშირი აჩქარებასა ძალას შორის.

ჩავატაროთ ექსპერიმენტი: სხეული დევს ზედაპირზე რომლის ხახუნის კოეფიციენტი შეიძლება უგულვებელყოთ. სხეულზე ვიმოქმედოთ მუდმივი ძალით.




მოძრაობის დიაგრამა

პირველი დაკვირვება: სხეული მოძრაობს მუდმივი აჩქარებით თუ მასზე მოქმედებს მუდმივი ძალა.

ჩავატაროთ იგივე ექსპერიმენტი  
ძალისა და სხეულის მასის სხვადასხვა  
მნიშვნელობისათვის.

მეორე დაკვირვება: სხეულის აჩქარება იზრდება მოდებული  
ძალის პროპორციულად.



მესამე დაკვირვება: სხეულის აჩქარება უკუპროპორციულია  
სხეულის მასისა.

## ნიუტონის მეორე კანონი

- ნებისმიერი სხეულისთვის:
  - აჩქარება  $\textbf{a}$  პროპორციულია სხეულზე მოქმედი ძალების ჯამისა და უკუპროპორციულია სხეულის მასისა. აჩქარება მიმართულია მოდებული ძალების ჯამის მიმართულებით.

$$\vec{a} = \vec{F}_{\text{აღ.}} / m \quad \longleftrightarrow \quad \vec{F}_{\text{აღ.}} = m \vec{a}.$$

$$\vec{F}_{\text{აღ.}} = \Sigma \vec{F}$$

ძალის ერთეულია  $[M] \times [L / T^2] = N \cdot m / s^2 = N$  (ნიუტონი)

ნიუტონის მეორე კანონი მართებულია მხოლოდ ინერციული ათვლის სისტემებისათვის.

## ნიუტონის მეორე კანონი...

- ძალის კომპონენტები  $F = ma$ :

$$F_x = ma_x$$

$$F_y = ma_y$$

$$F_z = ma_z$$

- თუ ვიცით  $m$  და  $F_x$ , ვიპოვთ  $a_x$  და გამოვიყენებთ კინემატიკის კანონებს:

$$x = x_0 + v_{0x}t + \frac{1}{2}a_x t^2$$

$$v_x = v_{0x} + a_x t$$

## გაგალითი:


- ადამიანი მიასრიალებს მძიმე ყუთს (მასა  $m = 100$  კგ) ყინულზე (ხახუნის ძალა უგულვებელყოფილია). ძალა, რომლითაც მოქმედებს არის  $50 \text{ N}$   $\textcolor{red}{X}$  მიმართულებით. ყუთის საწყისი სიჩქარე ნულია, როგორი იქნება სიჩქარე  $v$ ,  $d = 10$  მ გავლის შემდეგ ?



## გაგალითი:

- $F = ma$ .
  - $a = F/m$ .
  - გვიხსენოთ, რომ  $v^2 - v_0^2 = 2a(x - x_0)$   
ე.ო.  $v^2 = 2Fd/m$

$$\rightarrow v = \sqrt{\frac{2Fd}{m}} = 3.2 \text{ მ/წმ}$$




## ძალა და აჩქარება


- ძალა  $F$  მოქმედებს მასაზე  $m_1$ . ეს იწვევს აჩქარებას  $a_1$ .  
იგივე ძალა მოქმედებს მასაზე  $m_2$  და იწვევს აჩქარებას  
 $a_2 = 2a_1$ .



- ეს ძალა მოქმედებს ორივე მასაზე  $m_1$  და  $m_2$  ერთდოროულად.  
რას უდრის აჩქარება?



## ძალა და აჩქარება



- $a_2 = 2a_1$  იგივე ძალის მოქმედებისას  $m_2 = (1/2)m_1$   
➤  $m_1 + m_2 = 3m_1/2$
- $a = (2/3)F / m_1$  ➔  $F/m_1 = a_1$

$\rightarrow$   $a = 2/3 a_1$

## ნიუტონის მესამე კანონი:


- თუ ერთი სხეული მოქმედებს მეორეზე რადაც ძალით, მაშინ მეორე სხეულიც მოქმედებს პირველზე იგივე სიდიდის საპირისპირო მიმართულების მქონე ძალით.

ძალები ყოველთვის წყვილებად მოქმედებენ:  $\mathbf{F}_{12} = -\mathbf{F}_{21}$ .

- ყოველი ძალისთვის არსებობს მისი ტოლი და საპირისპირო მიმართულების ძალა. აქცია-რეაქცია.
- მაგალითად: მე ვაწვები კედელს, კედელი მაწვება მე. სტუდენტი აწვება სკამს, სკამი აწვება სტუდენტს.


## ნიუტონის მესამე კანონი...

- $F_{A,B} = -F_{B,A}$ . ეს რათქმაუნდა მართებულია ასევე კონტაქტური ძალების შემთხვევაში:



## მცდარი მსჯელობის მაგალითი

- რადგან  $\mathbf{F}_{\delta,\delta} = -\mathbf{F}_{\delta,\delta}$ , რატომ არ არის  $\mathbf{F}_{\mathcal{X},\delta} = 0$  and  $\mathbf{a} = 0$  ?




## სწორი მსჯელობა


- განვიხილოთ მხოლოდ კარადა და მასზე მოქმედი ძალები!

$$\blacktriangleright \mathbf{F}_{\text{კარადა}} = m\mathbf{a}_{\text{კარადა}} = \mathbf{F}_{\text{ძალა}}$$


$\blacktriangleright$  ძალების დიაგრამა (განვიხილავთ მოგვიანებით)



რეაქციის ძალა




წყალს აწვებიან  
ნიჩებებით...




წყალი აწვება ნიჩებს  
საპირისპირო მიმართულებით  
და ნავი მიდის წინ

როგორ მუშაობს  
პროპელერი?





# პროპელერი აწვება ჰაერს...




ჰაერი აწვება პროპელერს და მასთან  
ერთად თვითმფრინავს  
საწინააღმდეგო მიმართულებით და  
თვითმფრინავი მიდის წინ

ნიუტონის მესამე კანონის მოქმედების მაგალითები:



# ვაშლი და დედამიწა



$$m_{\text{ვაშლი}} = 0.5 \text{kg}$$

$$m_{\text{დედ.}} = 6 \cdot 10^{24} \text{kg}$$

$$h = 100\text{d.}$$

$$h = \frac{1}{2}gt^2; t = \sqrt{\frac{2h}{g}} = \sqrt{20} \approx 4.5\text{d.}$$

$$F_{\text{ძ. ღ}} = mg = 56.$$

$$a_{\text{დედ.}} = \frac{F_{\text{ღ.ღ}}}{M_{\text{დედ.}}} = \frac{56.}{6 \cdot 10^{24} \text{kg}} \approx 8 \cdot 10^{-25} \text{d}/\text{v}\text{d}^2$$

დედამიწის გადაადგილება:

$$d_{\text{დედ.}} = \frac{1}{2}a_{\text{დედ.}} t^2 \approx 8 \cdot 10^{-24} \text{d}$$

